დამტკიცებულია
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2024 წლის 5 დეკემბრის #03/42 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის

მშობელთან ურთიერთობის დებულება
(კომუნიკაციის სტრატეგია)

2024

მუხლი 1. შესავალი

1. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლა-გიმნაზიას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. იმისათვის, რომ მასწავლებელსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია შედგეს, პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი მასწავლებელმა უნდა გადადგას.

2. მასწავლებელი ის შუალედური რგოლია, რომელიც სკოლა-გიმნაზიასა და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს. მას შეუძლია, კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მშობელი ჩართოს სასწავლო პროცესში და თავის მოკავშირედ აქციოს. მათ ერთი მიზანი აქვთ - ბავშვის წარმატება და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის (შემდგომში „სკოლა-გიმნაზია“) მოსწავლის მშობლად/კანონიერ წარმომადგენლად იწოდება მას შემდეგ, რაც მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხება სკოლა-გიმნაზიაში გიმნაზიაში მოსწავლის სტატუსით.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. სკოლა-გიმნაზიასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წარმოეშობათ ურთიერთვალდებულებები.

2. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია:

ა) სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლე უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი;
ბ) სისტემატურად აკონტროლოს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დასწრება;
გ) მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ;
დ) უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმისა და სკოლა-გიმნაზიის მისიის შესაბამისად წარმართვა;
ე) სასწავლო ოთახები აღჭურვოს სასწავლო ინვენტარით, სასწავლო რესურსებით, ტექნიკური და მეთოდური საშუალებებით, რაც აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესრულებისათვის;
ვ) იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები;
ზ) შექმნას ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო სკოლა-გიმნაზიაში;
თ) მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით;

ი) მოსწავლეზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სკოლა-გიმნაზიის რექტორის მიერ დამტკიცებული „ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები დოკუმენტის შესაბამისად რეაგირება.
კ) დაიცვას მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლა-გიმნაზიის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები.

3. სკოლა-გიმნაზიას უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დაცვა;
ბ) არ დაუშვას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლა-გიმნაზიაში შინაგანაწესით ნებადართული მიღების საათებისა და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა;
გ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ჩამოართვას მოსწავლეს ნივთები (მობილური ტელეფონი, ტექნიკური საშუალებები და სხვ.), რომელიც ხელს უშლის სასწავლო პროცესის წარმართვას და დააბრუნოს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ;
დ) დაითხოვოს მოსწავლე დროებით ან გარიცხოს სკოლა-გიმნაზიის საქართველოს კანონმდებლობით, შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევაში;
ე) მოუწოდოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ჩაერთოს სკოლა-გიმნაზიის ცხოვრებაში, არჩეულ იქნეს სკოლა-გიმნაზიის მშობელთა საბჭოში, მიიღოს მონაწილეობა სკოლა-გიმნაზიის ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში;

4. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) დაიცვას სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები;
ბ) იყოს კორექტული, საერთო მიზნების მიღწევისთვის ითანამშრომლოს სკოლა-გიმნაზიასთან და შეინარჩუნოს კეთილგანწყობა სკოლა-გიმნაზიისა და მისი თანამშრომლების მიმართ;
გ) დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები;
დ) მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიური კავშირი იქონიოს კლასის ხელმძღვანელთან და სკოლა-გიმნაზიის დირექციასთან;
ე) არ განახორციელოს სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით აკრძალული რაიმე სახის ქმედება, მათ შორის კლასში ნებისმიერი ოდენობის თანხის შეგროვება. მსგავსი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას;
ვ) მოსწავლე სკოლა-გიმნაზიაში გამოუშვას სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული წესის შესაბამისად ჩაცმული, სასწავლო ნივთებით აღჭურვილი; ყურადღება მიაქციოს, რომ არ ატაროს სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით აკრძალული ნივთები (სწავლისათვის შეუსაბამო ტექნიკური საშუალებები, ცივი იარაღი და ა.შ. აკრძალული ნივთები დეტალურადაა განსაზღვრული სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესით);
ზ) დაესწროს სკოლა-გიმნაზიაში დაგეგმილ ღონისძიებებს და სკოლა-გიმნაზიის აქტივობებს, მათ შორის, მშობელთა კრებებს. მშობელთა კრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებლობის მიზეზი წინასწარ შეატყობინოს კლასის ხელმძღვანელს;
თ) ნებისმიერი პრობლემა და გაუგებრობა გაარკვიოს მოსწავლის კლასის ხელმძღვანელთან ან/და სკოლა-გიმნაზიის დირექციასთან;

ი) გადამდები დაავადების შემთხვევაში სკოლა-გიმნაზიაში არ მოიყვანოს მოსწავლე და კლასის ხელმძღვანელს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ და წარმოადგინოს ჯანმრთელობის შესაბამისი ცნობა და დაუყონებლივ წარმოადგინოს შესაბამისი განცხადება ელექტრონული წესით სკოლა-გიმნაზიის ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ან წერილობითად სკოლა-გიმნაზიის კანცელარიის მეშვეობით;
კ) არ გააცდენინოს მოსწავლეს სკოლა-გიმნაზია არასაპატიო მიზეზით. წინასწარ აცნობოს კლასის ხელმძღვანელს მოსალოდნელი გაცდენის შესახებ და დაუყონებლივ წარმოადგინოს შესაბამისი განცხადება ელექტრონული წესით სკოლა-გიმნაზიის ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ან წერილობითად სკოლა-გიმნაზიის კანცელარიის მეშვეობით;
ლ) თავი შეიკავოს სკოლა-გიმნაზიის ნებისმიერი მოსწავლის, მშობლის/წარმომადგენლის ან თანამშრომლის შეურაცხყოფისაგან, ასევე, მასწავლებლისა და სკოლა-გიმნაზიის ავტორიტეტის შელახვისაგან;
მ) აანაზღაუროს მოსწავლის (მისი შვილი) მიერ დაზიანებული სასკოლო ინვენტარის ან ტექნიკის ღირებულება სკოლა-გიმნაზიის დირექციის მოთხოვნის საფუძველზე;
ნ) მოსწავლის ამორიცხვის/გარიცხვის/სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიას დაუყოვნებლივ დაუბრუნოს გადაცემული სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკის წიგნები);
ო) სკოლა-გიმნაზიის დირექციის მოთხოვნისთანავე, უმოკლეს დროში გამოცხადდეს სკოლა-გიმნაზიაში;
პ) დაესწროს სკოლა-გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებსა თუ სხვადასხვა გასვლით ღონისძიებებს და ზედამხედველობა გაუწიოს მოსწავლის (მისი შვილის) ქმედებებს. დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული წინასწარ შეატყობინოს კლასის ხელმძღვანელს;
ჟ) შეატყობინოს სკოლა-გიმნაზიას საკონტაქტო ინფორმაციის (საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა) ცვლილების შესახებ;
რ) დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების მოსწავლის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის დასრულებისას მოაკითხოს მოსწავლეს წასაყვანად ან აცნობოს კლასის ხელმძღვანელს მოსწავლის წაყვანაზე უფლებამოსილი პირის შესახებ;
ს) სკოლა-გიმნაზიის დირექციას აცნობოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, ქრონიკული/გადამდები დაავადებისა და ალერგიის შესახებ შესაბამისი ადაპტირებული სასწავლო გარემოს და გახანგრძლივებული სწავლების კლასში დასწრების შემთხვევაში კვების თავისებურებების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.

5. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს სკოლა-გიმნაზიისაგან სასწავლო პროცესის წარმართვა მაღალკვალიფიციურად;
ბ) მოითხოვოს სკოლა-გიმნაზიისაგან მოსწავლისადმი სამართლიანი, ობიექტური და თავაზიანი დამოკიდებულება;
გ) მოითხოვოს საგნების მიხედვით მოსწავლის ობიექტური შეფასება;
დ) მოითხოვოს მისი შვილის უფლებების დაცვა.

მუხლი 4. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სკოლა-გიმნაზიაში გამოცხადების წესი

1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლა-გიმნაზიაში ცხადდება დირექციის, კლასის ხელმძღვანელის ან საგნის მასწავლებლის მოწვევით.
2. მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს შეუძლიათ კლასის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა საგნის მასწავლებელთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.
3. თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით რომელიმე მასწავლებელთან გასაუბრებას, ამ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მათ შეხვედრას.

მუხლი 5. მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია

1. მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება:
ა) მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
ბ) Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში;
გ) ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;
დ) ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში;
ე) მშობლებთან//კანონიერი წარმომადგენელთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;
ვ) ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;
ზ) სკოლა-გიმნაზიის სკოლის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სადაც თავსდება საშინაო დავალებები, მასწავლებელთა კომენტარები, საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები, განცხადებები და სხვა.
2. საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე (მასწავლებელი მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან პირადი ურთიერთობის დროს, უფლებამოსილია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება, მხოლოდ იმ სასწავლო საგანში რომელსაც ასწავლის).
3. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე კლასის ხელმძღვანელი ან დირექციის წევრი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს.

მუხლი 6. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები

1. სკოლა-გიმნაზიის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის ხელმძღვანელის მეშვეობით;
2. თითოეულ კლასში მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს; მშობელთა კრებისათვის ყველა კლასის ხელმძღვანელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს, რომელიც სკოლა-გიმნაზიის დირექციასთან უნდა შეათანხმოს.
3. მშობელთა რიგგარეშე კრების მოწვევა აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია კლასის ხელმძღვანელს ან აღმასრულებელ დირექტორს;

4. საგნის მასწავლებელს დირექციასთან ან კლასის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უფლება აქვს გამოიძახოს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
5. მშობლებთან/კანონიერი წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმას თვით პედაგოგი და კლასის ხელმძღვანელი ირჩევს სიტუაციის შესაბამისად;
6. მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელთან ურთიერთობის დროს (მიმოწერისას ან საუბრისას) მოსწავლის დადებითი მხარეების წარმოჩენით უნდა იწყებოდეს, რასაც შეიძლება სხვადასხვა სახის პრობლემების განხილვა მოჰყვეს;
7. მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს დაუშვებელია მოსწავლის პიროვნული ღირსებების შელახვა, უხეშობა. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად პოზიტიურიდან პრობლემისაკენ მიმართული;
8. სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა მოხდეს მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
9. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო-საგიმნაზიო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლა-გიმნაზიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში.

მუხლი 7. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

1. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში;
ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;
გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი;
ზ) პერსონალური მონაცემების დაცვა;
თ) სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო-საგიმნაზიო ცხოვრებაში.
2. სკოლა-გიმნაზიამ სასწავლო წლის დაწყებიდან 10 დღის ვადაში, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, დასწრებით ან ონლაინ ფორმატში, კლასის ხელმძღვანელების მეშვეობით უნდა მოაწყოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის, ფსიქოლოგის (სკოლა-გიმნაზიაში ასეთი არსებობის შემთხვევაში), უფლებამოსილი პირის, სკოლა-გიმნაზიის მოძღვრის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომრებისა და აღნიშნული პირების/უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.
3. საჭიროების შემთხვევაში სკოლა-გიმნაზია სასწავლო პროცესის განახლებამდე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, დასწრებით ან ონლაინ ფორმატში, კლასის ხელმძღვანელების მეშვეობით უნდა მოაწყოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და მიაწოდოს

ინფორმაცია „პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმის შესახებ“, რომელშიც გაწერილია პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული გეგმის ფარგლებში სკოლა-გიმნაზიამ მასწავლებლებს, თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უნდა ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი და გააცნონ წესები.

მუხლი 8. მშობელთა საბჭო

1. მშობელთა საბჭო არის სკოლა-გიმნაზიის სათათბირო ორგანო. მისი მიზანია საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა როგორც სკოლა-გიმნაზიის გარემოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

2. მშობელთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება სკოლა-გიმნაზიაში კლასების რაოდენობით. თითო კლასი საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყოს კლასში არჩეული ერთი მშობლით (მოსწავლის მამა ან დედა)/კანონიერი წარმომადგენლით. მშობელთა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ერთი წლით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. ერთიდაიგივე კანდიდატი შეიძლება იქნეს არჩეული ზედიზედ 3 წლის განმავლობაში.

3. მშობელთა საბჭოს საქმიანობის კოორდინაციას ახდენს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი.

4. მშობელთა საბჭოს მიზნები და ამოცანები

მშობელთა საბჭოს ამოცანებია:

ა) განამტკიცოს სკოლა-გიმნაზიასა და მოსწავლის ოჯახს შორის უწყვეტი კავშირი. ხელი შეუწყოს სასკოლო კულტურის გამდიდრებას და მის განვითარებას;

ბ) ითანამშრომლოს სკოლა-გიმნაზიასთან მოსწავლეების ქრისტიანული ღირებულებების მქონე, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დამცველ, მოაზროვნე და თავისუფალ პიროვნებებად ჩამოსაყალიბებლად;

გ) დაეხმაროს სკოლა-გიმნაზიას არაფორმალური განათლების, მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზების, სპორტული ღონისძიებებისა და საკლუბო მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაში;

დ) დაეხმაროს სკოლა-გიმნაზიას მიზნობრივი, დამატებითი ფინანსების მოძიებაში (გრანტი);

ე) ხელი შეუწყოს მშობელთა ჩართულობას ბავშვის განათლების პროცესში, როგორც სრულუფლებიან პარტნიორებს;

ვ) მონაწილეობა მიიღოს სკოლა-გიმნაზიაში სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნაში და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამდიდრებაში;

ზ) იზრუნოს სკოლა-გიმნაზიის იმიჯისა და რეიტინგის გაზრდაზე საზოგადოებაში.

5. მშობელთა საბჭოს უფლებები და მოვალეობები:

ა) შეუძლია მიმართოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს, დირექციას ან/და სკოლა-გიმნაზიის სხვა ხელმძღვანელს განცხადებებით და მოსაზრებებით სკოლა-გიმნაზიასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ) პედაგოგიურ საბჭოსთან, კლასის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მონაწილეობს სკოლა-გიმნაზიის კურიკულუმის შემუშავებაში;

გ) განათლების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად აწვდის მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და გრაფიკზე;

დ) მშობელთა საბჭო უფლებამოსილია შეიმუშავოს რეკომენდაციები სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან დაკავშირებით და განსახილველად წარუდგინოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს.

6. მშობელთა საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს ინიციატივები სკოლა-გიმნაზიის განვითარებასთან დაკავშირებით და რეკომენდაციის სახით განსახილველად წარუდგინოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს.

7. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი სკოლა-გიმნაზიის პოლიტიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით განიხილავს ამ რეკომენდაციებს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, დირექციასთან ან/და რექტორთან.
8. მშობელთა საბჭოს სხდომები იმართება სასწავლო სემესტრში სულ მცირე ერთხელ. სხდომას იწვევს მშობელთა საბჭოს თავმჯდომარე სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის წარდგენით სკოლა-გიმნაზიის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. რიგგარეშე შეკრება შესაძლებელია საბჭოს თავმჯომარის, აღმასრულებელი დირექტორის/ მოადგილის, საბჭოს წევრი არანაკლებ ხუთი მშობლის მოთხოვნით სხდომის დანიშვნამდე ერთი დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. წერილობითი შეტყობინება უნდა განხორციელდეს სკოლა-გიმნაზიის მართის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
9. მშობელთა საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის გზით. კონსენსუსის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
10. მშობელთა საბჭოს გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა და იგი ფორმდება ოქმში, რომელიც სკოლა-გიმნაზიის წერილობით გადაეცემა სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს.

9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება სკოლა-გიმნაზიის რექტორი ბრძანების საფუძველზე.
2. დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლა-გიმნაზიის რექტორის ბრძანების საფუძველზე.